გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 177

2024 წლის 8 ნოემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის 30 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2024 წლის განვლილი პერიოდის ანგარიში"

განათლება

განათლების სფეროს ხელშეწყობა, ერთერთი პრიორიტეტულია ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. ამის ნათელი მაგალითია მზარდი საბიუჯეტო სახსრები აღნიშნულ სფეროში, ახალგაზრდების ინტერესებზე მორგებული საგანმანთლებლო მუნიციპალური პროგრამები, აგრეთვე უპრეცენდენტო თანამშრომლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა უწყებებთან.

მერიის განათლების განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) განათლების მუნიციპალური პროგრამის შემუშავებას;

ბ) განათლების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

გ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობას;

დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

<u>განათლების მუნიუციპალური პროგრამა/ქვეპროგრამა:</u>

- **,,განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა"** (დადგენილება #21 / 10.04.2020 - ,,გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ"). პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, კლასგარეშე აქტივობების/პროექტების განხორციელება, მოსწავლე-ახალგაზრდების ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლება, ახალგაზრდების წახალისება, მათი დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა განათლების მუნიციპალურ პროგრამაში, პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობის/კოორდინაციის ხელშეწყობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან.
- **,,გორის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების წახალისების და დაჯილდოვების პროგრამა"** - ,,სკოლისგარეშე

განათლების ხელშეწყობა და დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამა“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსურ დაჯილდოვება/წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100%-იანი საგრანტო ქულის მიხედვით.

აგრეთვე წარმატებით ხორციელდება ,,საზაფხულო ბანაკი“ დაბა ბაკურიანში გორის მუნიციპალიტეტის 16-დან 20 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდებისთვის (სულ 150 ახალგაზრდა), რომლის მიზანია ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმართველობის პროცესებში. ბანაკი დატვირთულია საგანმანათლებლო (სატრენინგო კურსი), აგრეთვე შემეცნებითი-კულტურული-სპორტული აქტივობებით.

ინდიკატორი: განხორციელებული პროექტების რაოდენობა, პროექტებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა, საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილე წახალისებული და დაჯილდოვებული მოსწავლეების რაოდენობა, 100% -იანი გრანტის მქონე სკოლის კურსდამთავრებულების რაოდენობა (იხ. ცხრილი #1).

ცხრილი #1

№	პროექტის სახელწოდება	პროექტის განხორციელების პერიოდი	პროექტის წარმდგენი/ განმახორციელებელი	პროექტის ბიუჯეტი (ხელშეკრულებით, ლარი)	მერიის ფინანსური წილი პროექტში	ორგანიზაციის ფინანსური წილი	ბენეფიციართა რ-ბა	შენიშვნა
1.	,,ჩემი, შენი, ჩვენი სკოლა“	თებერვალი - მაისი	სსიპ გორის მუნიც. სოფელ სვენეთის საჯარო სკოლა	1 000	**800**	200	140	**ხელშეკრულება #1, ვადა - 31.01.24 – 31.12.24 -** დასრულდა.
2.	,,ნეოლაბი - ახალგაზრდების განვითარებისთვის“	თებერვალი -აგვისტო	ა(ა)იპ ნეო-ტვ	7 320	**4 600**	2 720	300	**ხელშეკრულება #2, ვადა - 31.01.24 – 31.12..24 -** დასრულდა.
3.	,,ჩვენ დავბრუნდით წიგნებთან“	მარტი - ივნისი	სსიპ გორის მუნიც. სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლა	1 300	**800**	500	230	**ხელშეკრულება #3, ვადა - 15.02.24 – 31.12.24 .** დასრულდა.
4	,,ჩემი სოფლის ორნამენტი“	მარტი-დეკემბერი	სსიპ გორის მუნიც. სოფელ ახალდაბის საჯარო სკოლა	2 958	**2 500**	458	30	**ხელშეკრულება #4, ვადა - 04.03.24 – 31.12.24 .** მიმდინარე .
5.	,,ვიზიტი საქართველოს პარლამენტში“	აპრილი (ერთჯერადი)	საქ-ოს პარლამენტის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღ. - გიორგი სამხარაძე	765,31	**765,31** (ტრანსპორტირება)		35	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **ხელშეკრულება #39 (ვადა 02.04.24-31.05.24);** დასრულდა.
6.	,,ჩვენ ვმეგობრობთ ბუნებასთან“	აპრილი-დეკემბერი	ა(ა)იპ ..საზოგადოება ბილიკი“	16 290	**8 200**	8 090	60	**ხელშეკრულება #5, ვადა - 28.03.24 – 31.12.24.** დასრულდა.

7.	,,ქალთა გაძლიერება სწავლება-გადამზადების გზით გორის მუნიციპალიტეტში“	მაისი-აგვისტო	ა(ა)იპ ,,ნაბიჯი განვითარებისათვის“	7 600	**4 600**	3 000	30	**ხელშეკრულება #6 , ვადა - 23.04.24 – 31.12.24 .** დასრულდა .
8.	,,ეს საინტერესოა - პროფესიული გზამკვლევი“.	ივნისი	ა(ა)იპ გაავრცელე	17 398	**15 938**	1 460	60	**ხელშეკრულება #7 , ვადა - 16.05.24 – 31.12.24 .** დასრულდა .
9.	,,წიგნი ჩემი მეგობარია“	ივნისი-ნოემბერი	სსიპ გორის მუნიც. მე-10 საჯარო სკოლა	3 095	**1 450**	1 645	30	**ხელშეკრულება #8 , ვადა - 06.06.24 – 31.12.24.** მიმდინარე
10.	,,საზაფხულო ბანაკი 2024'' - დაბა ბაკურიანში	ივლისი-აგვისტო	გორის მერია	91 660	**91 660**		150	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **ხელშეკრულება #71 (ვადა 10.05.24 - 30.09.24).** დასრულდა.
11.	გორის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლის კურსდამთავრებულების დაჯილდოვება ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგის (100%-იანი გრანტის) მიხედვით	ნოემბერი	გორის მერია	13 000	**13 000**		26	100%-იანი გრანტის მქონე კურსდამთავრებულების დაჯილდოვება. მიმდინარე
	ჯამი	**11 პროექტი**			**144 313, 31**		**1091**	

სკოლამდელი განათლება

დღეისათვის გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს **64** სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება, 19 - ქალაქად, 45 - სოფლად; აგრეთვე სკოლამდელი განათლების 3 ალტერნატიული მოდელი : სასკოლო მზაობის ცენტრები მე-14 საბავშვო ბაღის ბაზაზე და სოფელ დიცში და ბოშურის ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი.

2024 წელს სკოლამდელი განათლების ბიუჯეტი შეადგენს **- 14 მლ 415 ათასი ლარს.**

უზუნველყოფილია თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის სკოლამდელი განათლების სერვისზე, მათ შორის სსსმ პირებისთვის და შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების მიწოდება; ბაღებს ემსახურება ხელშეკრულებით აყვანილი 2 ფსიქოლოგი, 7 სპეც. მასწავლებელი და 55 ინდივიდუალური ასისტენტი. აგრეთვე ყველა საბავშვო ბაღებს ყავს ექთანი.

იმ სოფლებში, სადაც არ არის საბავშვო ბაღები, სააგენტო უზრუნველყოფს აღსაზრდელთა ტრანსპორტირებას უახლოეს მეზობელ სოფლებში აღნიშნული სერვისის მისაღებად. საერთო ჯამში, ტრანსპორტირება ხორციელდება 28 საბავშვო ბაღში, 45 მიმართულებით და ემსახურება 500-მდე აღსაზრდელს.

საბავშვო ბაღებში **კვების ხარჯი** თითოეულ აღსაზრდელზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა და ყოველდღიურად **6** ლარს შეადგინს.

სკოლამდელი განათლების სერვისით გორის მუნიციპალიტეტში სარგებლობს 4 700 აღსაზრდელი. სულ სისტემაში დასაქმებულია 1331 პერსონალი, აქედან აღმზრდელი - 418.

პერმანენტულ რეჟიმში ხორციელდება კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგ-კურსები, კერძოდ:

- „გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარება“ - განათლების სამინისტრო, მსოფლიო ბანკი და აშშ-ს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (I2Q პროექტი- ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი) .
- ,, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული სტანდარტი“ - 66 საათიანი ტრენინგ-მოდული - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.
- ,,კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ .
- ,,ადრეული განათლების კურიკულუმი - თამაში”.
- ,,ინკლუზიური განათლება გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ - საზოგადოება ბილიკი, ორგანიზაცია - ,,ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“ , კოალიცია ,,დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ .
- სიმულაციური ავტორიზაციის პროცესი გორის #1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ექსპერტები.

მიმდინარეობს სოფელ **ვარიანის**, **შავშვების, ზერტის** და **ფლავის** საბავშვო ბაღების მშენებლობა და სოფელ **შინდისისა** და **ტირძნისის** საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია - მუნიციპალური განვითარების ფონდი.

საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა

განათლების განყოფილება, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში (2019 წლიდან), უზრუნველყოფს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამის ინსპექტირებას (საქართველოს მთავრობის განკარგულება № 147/ 23 იანვარი 2023 წ. ქ. თბილისი - ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ”).

ტრანსპორტით მომსახურება ხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის 44 საჯარო სკოლაში, აქედან ქალაქის 9 და სოფლის - 35 სკოლაში, პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 2500-მდე მოსწავლეს. ხელშეკრულების თანახმად, ტრანსპორტით მომსახურების ღირებულება შეადგენს - 1 928 252,70 ლარს. მარშრუტის რ-ბა - 116, მიმართულება - 250.

ტრანსპორტირების ხარჯი წლების მიხედვით:

2024 წ. - 1 928 252, 70 ლ (საჯარო სკოლა - 44, მარშრუტის რაოდენობა - 116, მოსწავლე- 2500);

2023 წ. – 1 453 479, 45 ლ (საჯარო სკოლა - 43, მარშრუტის რაოდენობა -90, მოსწავლე -2500);

2022 წ. – 655 667,60 ლ (საჯარო სკოლა - 44; მატრშრუტის რაოდენობა - 81; მოსწავლე -2200);
2021 წ. - 530 660,48 ლ (საჯარო სკოლა - 43; მარშრუტის რაოდენობა - 83; მოსწავლე - 2200);
2020 წ. - 199 450, 63 ლ (საჯარო სკოლა - 43 ; მარშრუტის რაოდენობა - 82; მოსწავლე - 2150);
2019 წ. - 498 148, 77 ლ (საჯარო სკოლა - 43; მარშრუტის რაოდენობა - 80; მოსწავლე - 2200).

სამომავლო გეგმები:

1. მიმდინარე წლის ნოემბერის თვეში იგეგმება სკოლის კურსდამთავრებულების დაჯილდოვება /ფინანსური წახალისება, ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (საგრანტო ქულის - 100 %) მიხედვით.
2. განათლების მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში განხორციელდება პროექტების დაფინანსება და მონიტორინგი კანონით გათვალისიწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.
3. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს: ა) სოფლების - ვარიანის, შავშვების, ფლავის და ზერტის საბავშვო ბაღების მშენებლობა და ბ) შინდისის და ტირძნისის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.
4. გაგრძელდება საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა.

კულტურის განყოფილების

2024 წლის ანგარიში

გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილება, ახორციელებს კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესებას და თანადაფინანსების სახით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანებს, ანსამბლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში, რისი საშუალებითაც შეძლებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას და აიმაღლებენ კვალიფიკაციას, საპატიო გორელების და გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შემოქმედი, წარმატებული ხელოვანების, დაჯილდოვებას და მათ წახალისებას, ასევე სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში გამარჯვებული ხელოვანების დაჯილდოვებას ფასიანი საჩუქრით ან ფულადი ჯილდოთი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილება ასევე ახორციელებს კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვის, კულტურული მემკვიდრეობის, საგანძურის, რელიგიური მნიშვნელობის კერების რეაბილიტაციის და მშენებლობის ღონისძიებების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოვლა-შენახვის, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრებისა და რელიგიური კერების აღდგენა-რეაბილიტაცია, რელიგიური კერების ხელშეწყობა.

კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში წლის ბოლომდე მიმდინარეობს ტიხრული მინანქრის

კურსის შესწავლა კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის შშმ ახალგაზრდებისთვის.

კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს კერამიკის კურსის შესწავლა კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის შშმ ახალგაზრდებისთვის.

კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს კერამიკის კურსის შესწავლა ახალგაზრდებისთვის (კერამიკოსი გიორგი ტატულაშვილის მიერ).

კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს პროექტი სოფელ ნიქოზში მცხოვრები ჭრა - კერვით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის. სასწავლო კურსი ითვალისწინებს ნიქოზში არსებული წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის სკოლის შემოქმედებითი წრეების მოსწავლეებისთვის ტრადიციული სამოსის შექმნას. სამოსის შექმნის პროცესს მოწვეული პროფესიონალები უძღვებიან. ტრადიციული სამოსით ჯამში 50 -მდე სკოლის მოსწავლე შეიმოსება. ისინი პროექტის ფარგლებში შეკერილი სამოსით წარსდგებიან როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ღონისძიებებზე, რაც ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

.საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტომ პატარებისთვის საახალწლო წარმოდგენა გამართა.
მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, დევნილი და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ბავშვებიც წარმოდგენას „საშობაო ქალაქს" დაესწრნენ და თოვლის ბაბუისგან საჩუქარიც მიიღეს.
საახალწლო ღონისძიებას, გორის კულტურის ცენტრმა 3, 4 და 5 იანვარს უმასპინძლა, რომელსაც1800-მდე ბავშვი დაესწრო.
ღონისძიება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

1 იანვრიდან 14 იანვრის ჩათვლით გორში, საახალწლო ღონისძიებები გაიმართა.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სხვადასხვა სახის გასართობი აქტივობების პარალელურად, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვაც მიმდინარეობდა.
დასკვნითი ღონისძიებაზე მოწვეულმა შემსრულებლებმა იმღერეს.
ღონისძიებაზე საკუთარი შემოქმედება წარმოადგინეს ოპერის ორკესტრმა, ნუკრი კაპანაძემ, თემურ თათარაშვილმა, ნათია პერანიძემ, დათუნა სირბილაძემ, გიორგი მეფისაშვილიმა, კვარტეტმა "ავტოგრაფმა", Georgian Six - მა, ეკა დოლიძემ და მარიამ როინიშვილმა.საღამო ფოიერვერკით დასრულდა.

პროექტი „ბედნიერი ახალი წელი" გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში კულტურის განყოფილებამ სადღესასწაულო ცენტრ „დისნეისთან" ერთად განახორციელა. ზღაპრის გმირებმა კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრისა და საზოგადოება „ბილიკის" ბენეფიციარებისთვის საახალწლო ღონისძიება გამართეს.
პატარებს საახალწლო საჩუქრები და საახალწლო წარმოდგენაზე „საოცრებათა ქალაქი" დასასწრები ბილეთები გადასცეს, ასევე ახალი წელი ტკბილეულით და საჩუქრებით ზღაპრის გმირებმა გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებს გადასცეს.

მიმდინარე წლის 20 თებერვალს წარმატებული გორელი მომღერლის ალექსანდრე ზაზარაშვილის პატივსაცემად მუსიკალური საღამო მოეწყო.
ღონისძიებას, რომელიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ორგანიზებით მოეწყო, ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლამ უმასპინძლა. საღამოს შემსრულებლის ოჯახის წევრები, პედაგოგები, მეგობრები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ.
ახალგაზრდა ქართველი მომღერალი, რომელიც ბოლო რამდენიმე წელი ამერიკის შეერთებულ შტატებში აგრძელებდა შემოქმედებით საქმიანობას, მშობლიურ ქალაქს რამდენიმე დღით სტუმრობს.
ალექსანდრე ზაზარაშვილს გორის მუნიციპალიტეტის მერიისგან ფულადი ჯილდოც გადაეცა.
არაერთ საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულ შემსრულებელს საჩუქარი კულტურის განყოფილების ხელმძღვანელმა ლელა მაისურაძემ გადასცა და გორის მერიის სახელით წარმატებები უსურვა.
გორის მუნიციპალიტეტი ნიჭიერი და წარმატებული გორელი ახალგაზრდების ხელშეწყობის მიზნით „საგანმანათლებლო, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების წახალისებისა და დაჯილდოების პროგრამას" ახორციელებს

დედის დღესთან დაკავშირებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, 3 მარტს, კულტურის ცენტრის დარბაზში გაიმართება დავით კენჭიაშვილისა და ჯგუფ "ექსპერიმენტის" კონცერტი.

გორის ფოტოგრაფთა კლუბის მიერ წარმოდგენილი პროექტი - ART HOUSE-2024 გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. პროექტი, რომელიც 6 აპრილს დაიწყო გულისხმობს 4 გამოფენის მოწყობას. ხელოვნების სახლმა გამოაცხადა კონკურსები წლის მნძილზე არტისტებისთვის გამოფენების მოსაწყობად. პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდა ფოტოგრაფიის უფასო კურსი, რომელმაც მსმენელებს საშუალება მისცა თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული დავალებებიც შესრულებინა.

13-14 აპრილს, გორში, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და თანადაფინანსებით, სპორტის სასახლემ ძაღლების საერთაშორისო გამოფენებს „Georgian Spring 2024“- ს და „Golden Cup 2024“- ს უმასპინძლა. პროექტის თანადაფინანსება კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში საქართველოს კინოლოგიური ფედერაციამ განახორციელა.
გამოფენას მონაწილეები 12 ქვეყნიდან სტუმრობენ, მათ შორის ჩინეთიდან და იაპონიიდან.
პროექტის მიზანია როგორც ძაღლების ჯიშობრივი ხარისხისა და გენოფონდის გაუმჯობესება, ასევე კინოლოგიის განვითარებაში ჩართული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლება.
გამოფენა გორში მერიის თანადაფინანსებით მეორედ ეწყობა. პროექტს საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად ახორციელებს.
ძაღლების საერთაშორისო და ეროვნული რანგის გამოფენები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ყოველწლიურად იმართება.

"Gori Mural Fest" - ის ფარგლებში ქალაქის მთავარ გამზირზე სტრიტარტები დაიხატა.
პროექტის თანადაფინანსება კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.
კორპუსის ფასადზე ორი სტრიტარტი "Tbilisi MURAL Fest" - ის მხატვრებმა ბესიკ მაზიაშვილმა, დავით სამხარაძემ და თინათინ წოწოლაშვილმა შეასრულეს.
კორპუსის სამხრეთ ფასადზე დაიხატა ქართული სუფრა, რომელიც "ლურჯი სუფრის" სახელითაა ცნობილი. ნახატზე გამოყენებულია გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული სუფრის ორნამენტები.

ჩრდილოეთ ფასადზე გორში დაბადებული ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის პორტრეტი განთავსდა.
ინიციატივის მიზანი ქუჩის ხელოვნების პოპულარიზაცია, ქალაქში არსებული ფასადებისთვის საინტერესო იერსახის მიცემა და ტურისტებისთვის მიმზიდველი ახალი ადგილების შექმნაა.

მიმდინარე წლის 7 მაისს გორის მუნიციპალიტეტის მერის ვლადიმერ ხინეეგაშვილის ინიციატივითა და გორისა და ატენის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე ანდრიას ლოცვა - კურთხევით ოქონობის დღესასწაულთან დაკავშირებით ერისთავის თეატრში ღონისძიება გაიმართა.
საღამოს საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები, ნიქოზის, გორისა და ატენის ეპარქიის სასულიერო პირები ესწრებოდნენ.
სტუმრებმა ისაუბრეს გორის მფარველი ხაატის წარმოშობის, მისი ისტორიისა და მასთან დაკავშირებული დღესასწაულის შესახებ.
საღამო სპექტაკლით "მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე" გაგრძელდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს გორის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა და ანსამბლებმა - "გორმა" და "რიხმა".
დღესასწაულის აღნიშვნა ოქონის ტაძარში სადღესასწაულო წირვით დაიწყო, რომელიც გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ აღავლინა. წირვის შემდეგ მსვლელობა გაიმართა ქალაქის ქუჩებში. მსვლელობისას მეუფემ გორი და გორელები დალოცა.

გორის მუნიციპალიტეტს ბათუმში გამართულ რიგით მე-14 ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენაში ”EBIT 2024” აქტიური მონაწილეობისთვის მადლობის სერტიფიკატი გადაეცა.
დამთვალიერებლები განსაკუთრებით დაინტერესდნენ გორელი ხელოვანების საქმიანობით და მათთან ერთად აქტიურად ჩაერთნენ შემოქმედებით პროცესში.
გამოფენაზე წარმოდგენილი საინფორმაციო მასალებით, სტუმრებმა მიიღეს ინფორმაცია გორის მუნიციპალიტეტში მოქმედი რესტორნების, სასტუმროების, კვებისა და ტურისტული ობიექტების შესახებ.
გამოფენა 9-13 მაისს ბათუმში ჩატარდა. ღონისძიებაში საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტები, კულტურის და ტურიზმის სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მიმდინარე წლის 15 მაისს გორელი მწერლები ლიტერატურული პრემიებით დაჯილდოვდნენ.
მათ ჯილდოები "პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის" ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე გადაეცათ.
ავტორებმა ლიტერატურულ პრემიებთან ერთად გორის მერიისგან ფულადი საჩუქრებიც მიიღეს.

ფესტივალს გორის მწერალთა სახლმა უმასპინძლა. ღონისძიებას თურქი, აზერბაიჯანელი და ებრაელი მწერლებიც ესწრებოდნენ.
შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტისმერიის კულტურის განყოფილების და კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა.
ფესტივალი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით ყოველწლიურად იმართება. მისი მიზანი ქართული მწერლობის პოპულარიზაციაა.

გორის ფოტოგრაფთა კლუბის მიერ წარმოდგენილი პროექტი - ,,ისტორია წიგნებით''გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. პროექტის ფარგლებში გამოიცა ორი ფოტო წიგნი - კატალოგი.

1.გორი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე სპორტული ქალაქია და მისი სპორტსმენების წარმატებასაც ყველაზე ხშირად გააქვს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს სახელი, პროექტის ფარგლებში გამოიცა კატალოგი, რომელიც კიდევ მეტ პოპულარიზაციას გაუწევს გორელ მოჭიდავეებს და ამასთან ახალგაზრდებში გაიზრდება სპორტული აქტივობების მიმართ ინტერესი. ფოტოკატალოგის დამზადებასთან ერთად მოხდა 10 სპორტსმენის/მწრთვნელის ვიდეო გადაღება,რომელიც განთავსდება სხვადასხვა სოციალური ქსელის პლატფორმაზე.

2.მეორე ფოტო წიგნი- მხატვრის თვალით დანახული გორი, გორელ ფოტოგრაფთა კლუბი მრავალი წელია თანამშომლობს სერგი მაკალათიას სახელობის გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმთან, წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება,რომელიც, გამოიხატება უნიკალური სამუზეუმო ექსპონატების ფოტოფიქსაციაში, მუზეუმის პოპულარიზაციაში და ა.შ. კატალოგი მოიცავს 42 მხატვრის მიერ შექმნილ 100 ნამუშევარს გორის შესახებ, ნამუშევრების დიდი რაოდენობა დაცულია მუზეუმში, თუმცა ნაწილი დაცულია კერძო კოლექციებში და სხვა მუზეუმებში. შეიქმნა კატალოგის ელ. ვერსია.

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გორის ცენტრალურ მოედანზე სხვადასხვა საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამა იქნა წარმოდგენლი.

1 ივნისს გორში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე სხვადასხვა სახის გასართობის ღონისძიებებით აღინიშნა.

სკვერში პატარებს და არა მარტო პატარებს, შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ ადგილობრივი შემსრულებლებისთვის, დაეთვალიერებინათ წარმოდგენილი ნამუშევრები, დასწრებოდნენ ანიმატორების წარმოდგენებს და ა.შ. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კულტურის ცენტრში ხელნაკეთი ნივთების გამოფენა - კონკურსიც მოეწყო საღამო დაასრულა ოთო ნემსაძემ . ღონისძიებები გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების და კულტურის განვითარების და ხელშეწყობის სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა.

1 ივნისს მერიის მხარდაჭერით გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სოციალურად დაუცველ და დევნილ 120 ბავშვს უმასპინძლა. მოზარდებმა სპექტაკლი „წითელქუდა“ ნახეს.

მიმდინარე წლის 20-24 ივნისს 14 - დან 18 წლამდე ახალგაზრდების ჩართულობით გუდამაყარში ფორკლორული ფესტივალი გამართა.

პროექტის "აღმოაჩინე არაგვის ხეობა" ფარგლებში მოზარდები 4 დღის განმავლობაში დაათავალიერეს გუდამაყრის სოფლები, გაეცვნენ ჩოხის ხეობას, ადგილობრივ ფოლკლორს, თქმულებებს, ლეგენდებს, წეს-ჩვეულებებს, სამზარეულოს და ყოფა - ცხოვრებას. მოგზაურობის დროს მოსწავლეებმა შეასრულეს ჩანახატები და გადაიღეს ფოტოები. ექსპედიციის ბოლოს ეწვივნენ გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმს და გაიმართა ახალგაზრდების ნამუშევრების გამოფენა.

პროექტში მონაწილე მოზარდებს ჰქონდეთ საველე პირობებში ცხოვრების გამოცდილება და ფლობდნენ შემოქმედებით უნარებს (ცეკვა, სიმღერა). პროექტი გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

მიმდინარე წლის 29 ივნისს პროექტის ,,ქართული კლასიკური მუსიკის საღამოები" გორში ფარგლებში ძალიან ლამაზი საღამო გაიმართა, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების ხელშეწყობით გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში ჩატარდა,რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ყველასთვის საყვარელი და ცნობილი მომღერლები.

მიმდინარე წლის 1 ივლისის 15 - და 29 წლის ასაკის ახალგაზრდებისთვის გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ხალხური რეწვის შემსწავლელი კურსები გაიხსნა.
კურსებს უძღვება ხალხური რეწვის ოსტატი მარინე ბეგლარიშვილი.
ექვსთვიანი სწავლის პროცესი სერგი მაკალათიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში განთავსებული სახელოსნო მასპინძლობს.
გაკვეთილები შაბათ - კვირას 13:00 საათიდან 16:00 საათებში ტარდება.
პროექტის ფარგლებში მოზარდები შეისწავლიან ეროვნული სამოსის კერვას, ქართული სუვენირების დამზადებას, თოჯინებისა და ღვინის ბოთლების ეროვნული სამოსით გაფორმებას. მოეწყობა ნამუშევრების გამოფენები.
პროექტი გორის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

მიმდინარე წლის 20 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების და მწერალთა სახლის ორგანიზებით გაიმართა მოსწავლეთა ელექტრონული და ხელნაკეთი წიგნების კონკურსი.

პროექტი ,,ხელნაკეთი წიგნის'' გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართა გორის მწერალთა სახლში.
კონკურსი სამ ასაკობრივ ჯგუფში, ორი თვის მანძლზე მიმდინარეობდა და 9 გამარჯვებული მოსწავლე გამოვლინდა, ასევე დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული მოსწავლეები. მათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.
პროექტის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდები ხელნაკეთ წიგნებს ამზადებენ, არჩევენ წიგნის შინაარსს და თავადვე ქმნიან დიზაინს.
კონკურსში გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების 250 მდე მოსწავლე მონაწილეობდა.
პროექტი ყოველწლირად ხორციელდება და მოზარდებში შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

მიმდინარე წლის 22 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ნანა სამხარაძის საესტრადო სტუდიის მოსწავლეების შემოქმედებითი საღამო გაიმართა ეს ახალგაზრდები მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებში სადაც საპრიზო ადგილები მოიპოვეს. გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების მიერ მოხდა პედაგოგის ნანა სამხარაძის და ამ ნიჭიერი ახალგაზრდების დაჯილდოვება, რომლებსაც გადაეცათ მადლობის სიგელები.
გორის მუნიციპალიტეტის მერია წარმატებულ ახალგაზრდებს მაქსიმალურად მხარს უჭერს და ხელს უწყობს საკუთარი ნიჭის რეალიზებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, სთავაზობს კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა

და თანადაფინანსების პროგრამას, რომელიც კულტურულ სფეროში მოღვაწე ხელოვანების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

~გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით, ერისთავის თეატრში მიმდინარე წლის 3 ივლისს გაიმართა ნუცი ნებიერიძისა და გორის ქალთა გუნდის ერთობლივი კონცერტი ამერიკიდან მოწვეული სტუმრების, გრემის მფლობელი ვარსკვლავების, არი ჰონიგისა და ბამ როდრიგესის თანამონაწილეობით.
ღონისძიებაში მათთან ერთად მონაწილეობდნენ მეგობარი მუსიკოსები რეზო კიკნაძე, ლუკა თოფურია და ტეტე ნოისი.
კონცერტზე შესრულდა საგუნდო კომპოზიციები ერთობლივი ალბომიდან, რომელიც 2023 წელს Leno Records-ში ჩაიწერა.
პროექტი ქართულ-ამერიკული კულტურათაშორისი კავშირების გამოვლენას, ქართული მრავალხმიანობის ახლებურად გააზრებასა და თანამედროვედ აჟღერებას ემსახურება

გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტის „ხელოვნება საზღვრების გარეშე“ფარგლებში ახალგაზრდებმა მიმდინარე წლის 5-6-7 ივლისს პერფორმანსი გამართეს.ფესტივალის ფარგლებში ერისთავის სახელობის თეატრის ეზოში და სოფელ დიცში პროექტში ჩართულმა ახალგაზრდებმა პერფორმანსები „ძალა ერთობაშია“ და „ისტორიები ჩვენი სახლიდან“ წარმოადგინეს.
პროექტში ჩართულები არიან გორსა და დიცში მცხოვრები ახალგაზრდები.
ფესტივალის ფარგლებში გორში იმყოფებიან რეჟისორები და მსახიობები სხვადასხვა ქვეყნიდან.
საერთაშორისო ფესტივალის „ხელოვნება საზღვრების გარეშე“ ფარგლებში, პროექტში ჩართულმა ახალგაზრდებმა ქართულ - პოლონურ სპექტაკლზეც იმუშავეს რომელიც ჯერ გორში, შემდგომ კი პოლონეთში წარადგინეს.

პროექტის მიზანი სპექტაკლებისა და მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნა და საერთაშორისო ფესტივალებზე წარდგენაა.
150 ახალგაზრდა (მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები), რომლებიც პროექტის ფარგლებში კინო და სამსახიობო ხელოვნებას, გადაღებას, მონტაჟს, გრაფიკულ არქიტექტურას, სცენარის შექმნასა და ფერების კორექციას სწავლობდნენ, კონკურსის წესით შეირჩნენ.
სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, პროექტის ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს მოკლემეტრაჟიანი ფილმების სცენარების კონკურსში. სამი საუკეთესო სცენარის მიხედვით მომზადდა ფილმები, რომლებიც გაიგზავნება საერთაშორისო

ფესტივალებზე. გარდა ფილმებისა, საერთაშორისო ფესტივალებზე წარსადგენად დაიდგა 5 სპექტაკლიც. ყველა პროდუქტი ხელმისაწვდომი იქნება ქართველი მაყურებლისთვის.
პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდებმა შექმნეს ასევე გორის მუნიციპალიტეტის საიმიჯო ვიდეორგოლებიც.
3 თვიანი პროექტის ფარგლებში მოეწყო 5 კინოჩვენებაც, რის შემდეგაც ახალგაზრდებმა მოაწყეს დებატები და იმსჯელეს სხვადასხვა სოციალურ თემებზე.
პროექტი, რომელიც წარმატებული ბენეფიციარების დასაქმებასაც ითვალისწინებს, ა(ა)იპ „ჭკვიანი მომავალი“ ახორციელებს.
ინიციატივა გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება.

მიმდინარე წლის 7 ივლისს კულტურის ცენტრის დიდ საკონცერტო დარბაზში მერიის მხარდაჭერით ჩატარდა მანანა გვერდწითელის საესტრადო სტუდიის ,,მზე'' შემოქმედებითი საღამო- კონცერტი ქალბატონი მანანა გვერდწითელი წლების განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, მისი მოსწავლეები არიან სხვადასხვა ფესტივალებსი და კონკურსებში გამარჯვებული, რომლებსაც მიღებული აქვთ ძალიან ბევრი დიპლომი და სიგელი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების მიერ მოხდა პედაგოგის მანანა გვერდწითელის და ამ ნიჭიერი ახალგაზრდების დაჯილდოვება, რომლებსაც გადაეცათ მადლობის სიგელები.
გორის მუნიციპალიტეტის მერია წარმატებულ ახალგაზრდებს მაქსიმალურად მხარს უჭერს და ხელს უწყობს საკუთარი ნიჭის რეალიზებასა და კვალიფიკაციის ასხვა ფესტივალებში, კონკურსებში გამარჯვებული
და მიღებული აქვს ძალიან ბევრი დიპლომი და სიგელი.

მიმდინარე წლის 17 ივლისს პროექტ "ART HOUSE 20 24"-ის ფარგლებში ახალგაზრდებისთვის ფოტოგრაფიის უფასო კურსი დასრულდა. პროექტის დასასრულს ტანას ხეობაში, ბოშურში მოეწყო 4 დღიანი „ფოტო - ბანაკი“. პროექტის მონაწილეებმა იმუშავეს ინდივიდუალურ ფოტო პროექტის იდეებზე, მოეწყო ფირის ფოტოგრაფიის მასტერკლასი, ლაშქრობები ლევიტანას ტბასა და ბიისის ჩანჩქერზე. ახალგაზრდებმა გადაიღეს ფოტოები საკუთარი პროექტებისთვის და შექმნეს ხელნაკეთი ფოტო წიგნები.
პროექტ ‘‘ART HOUSE 20 24"-ის ფარგლებში ახალგაზრდებმა ფოტოგრაფიის საფუძვლები შეისწავლეს და შესაბამისი სერტიფიკატებიც გადაეცათ.
პროექტი ‘‘ART HOUSE 20 24’’ გორელ ფოტოგრაფთა კლუბისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამით ხორციელდება.

გარდა ფოტოგრაფიის კურსისა ხორციელდება და წლის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა თემატიკის ღონისძიებები, როგორებიცაა გამოფენების მოწყობა და დოკუმენტური ფილმების სერიის ,,ცოცხალი ისტორიების“ მომზადება.

17-18-19 ივლიისს გორში, ლიტერატურული და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „მაჩაბელი“ ჩატარდა,რომელიც გორის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ იყო ორგანიზებული.
პროექტი სამინისტროს, უნივერსიტეტისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა.
ერისთავის თეატრში ლიტერატურული კონკურსის „მაჩაბელი“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.
გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თამაზ შიოშვილმა მერიის პრიზი - ფულადი ჯილდო 3000 ლარიანი ვაუჩერი ნომინაციაში წლის საუკეთესო პოეტური კრებულის - ,,მიმინოსავით მოთმინებას ვათვინიერებ“ ავტორს ელგუჯა მარღიას გადასცა.

წელს კონკურსის„მაჩაბელი“ ნომინაციებში გაიმარჯვეს:

წლის საუკეთესო პოეტური კრებული/ლექსების ციკლი:
ელგუჯა მარღია - ,,მიმინოსავით მოთმინებას ვათვინიერებ“, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება და გამომცემლობა ,,სვეტი'';

წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები:
ცოტნე ავსაჯანიშვილი - ,,მერის მარადიული ახალგაზრდობა", ,,არილი".

წლის საუკეთესო კრიტიკულ/ესეისტურ/პუბლიცისტური წერილი/კრებული:
ლევან გოგაბერიშვილი - ,,ირაციონალური ვაშლი“, გამომცემლობა ,,მერიდიანი".

წლის საუკეთესო დრამატული ნაწარმოები:
გურამ მგელაძე - ,,ფერფლისფერი ფანტელების უდაბნო“, ჟურნალი ,,ცისკარი - 1852“;

წლის საუკეთესო პოეტური/პროზაული ქართული თარგმანი:
მანანა ღარიბაშვილი - "პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი - ,,ხმა ტომისიდან, ნაღვლიანი ელეგიები, წერილები პონტოდან", გამომცემლობა ,,არტანუჯი";
გარდა ჟიურის გადაწყვეტილებისა კონკურსის დამფუძნებლის პრემია გადაეცა თურქ ქართველოლოგსა და მთარგმნელს, ჰარუნ ჩიმქეს, სპეციალური პრიზი გადაეცა პოეტ ნინო მშვიდობაძეს.
ლიტერატურული კონკურსის ,,მაჩაბელი“ ორგანიზატორია გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
კონკურსის დამფუძნებელია გორისა და კასპის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი სოსიაშვილი.
კონკურსის მიზანია საოკუპაციო ხაზთან არსებული რეგიონის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების გამრავალფეროვნება, ლიტერატურის

პოპულარიზაცია ახალგაზრდებში, ახალი ავტორებისა და ლიტერატურული კერების აღმოჩენა და რეგიონის ცნობადობის გაზრდა.

მიმდინარე წლის 20 ივლისს გორში „ერისიონის" კონცერტი გაიმართა. ანსამბლმა ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების სრულიად ახალი პროგრამა ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიმდებარედ ღია ცის ქვეშ მოწყობილ სცენაზე წარადგინა.
ღონისძიება საქართველოს რეგიონებში საგასტროლო ტურნეს ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებითა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

მიმდინარე წლის 3 სექტემბერს გორში, დავით გურამიშვილის ქუჩაზე ბულვარი გაიხსნა.
ახალი დასასვენებელი სივრცე ძველი ხიდიდან „ახალბაღამდე" მოეწყო.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოქალაქეები.
საღამოს მუსიკალურად აფორმებდა ადგილობრივი ჯგუფი "კანუდოსი", რომლის მუსიკალური კომპოზიციის დაფინანსება კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. დასასვენებელ სივრცეში წარმოდგენილი იყო ძველი გორის ფოტოები. ღონისძიებაზე მოსულ პატარებს სამხატვრო სკოლის მოსწავლეები სახის მოხატვას სთავაზობდნენ. ბულვარში მოქალაქეებს მე-19 საუკუნის კოსტიუმებში გამოწყობილ გორის თეატრის მსახიობებთან ფოტოების გადაღებაც შეეძლოთ. სტუმრებს მეთევზეებთან ერთად ანკესებით თევზაობის საშუალებაც ჰქონდათ.

მიმდინარე წლის 7-12 სექტემბრს გორელი ახალგაზრდების ჩართულობით სტეფანწმინდაში მოეწყო ფოლკლორისა და ხელოვნების ფესტივალი "სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია".
ახალგაზრდები ხუთი დღის განმავლობაში ეწვივნენ გველეთის ჩანჩქერს და დაათვალიერეს ულამაზესი დარიალის ხეობა.
გორის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით განხორციელებულ პროექტში ბიისის საზაფხულო ბანაკის მონაწილე ის აქტიური ახალგაზრდები ჩაერთნენ,

რომლებიც განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგებით.

სტეფანწმინდაში მოეწყო ცეკვის, სიმღერის საღამოები და ახალგაზრდების მიერ ბიისის ბანაკში გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება.

პროექტი გორის მუნიციპალიტეტის მერიის "კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის" ფარგლებში ასოციაცია „ტონთიოსთან“ თანამშრომლობით განხორციელდა.

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა.
გორში ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს.
მემორიალთან შეიკრიბნენ აფხაზეთის ომში მონაწილე ვეტერანები.
ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათთან ერთად კიდევ ერთხელ გაიხსენეს 31 წლის წინ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები და პატივი მიაგეს უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულთა სულების ხსოვნას.
"დღეს შევიკრიბეთ და პატივს მივაგეთ ჩვენს გმირებს.
სოხუმის დაცემის დღე ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა საქართველოს უახლეს ისტორიაში.
31 წელი გავიდა, მაგრამ ყველას კარგად გვახსოვს ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები და მშობლიური მიწიდან დევნილი უამრავი ადამიანი.

თბილისობის" დღესასწაულს შიდა ქართლიც შეუერთდა.
5 ოქტომბერს "თბილისობის" დღესასწაულზე გ. ჩიტაიას სახელელობის მუზეუმში მასშტაბური და მრავალფეროვანი ღონისძიებები გაიმართა.

თბილისობის დღესაწაულის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებმა, მათ შორის კი შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებმა საკუთარი კუთხის ტრადიციები გააცოცხლეს.

მუზეუმის ტერიტორიაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული , მრავალფეროვანი გამოფენები, ტრადიციული კულინარიის მასტერკლასები, ქართული ღვინის კუთხეები და ფოლკლორული კონცერტები.

გორში თეატრალური ფესტივალი "როტონდა" საზეიმოდ გაიხსნა.
პროექტი გორის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით ხორციელდება.
ფესტივალს 5 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით ერისთავის თეატრმა უმასპინძლა.
პროექტის ფარგლებში გორს თბილისის სხვადასხვა თეატრი სტუმროდა.
მაყურებელს ყველა ჟანრის სპექტაკლის ნახვის შესაძლებლობა ქონდა.
თეატრალური ფესტივალი "როტონდა" გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით განხორციელდა.

გარდა სპექტაკლების ჩვენებისა, მოხდა განუხორციელებელი პიესების საჯარო კითხვა, შეხვედრები რეჟისორებთან და მსახიობებთან, ჩატარდება მასტერკლასები და ვორქშოფები.
12 ოქტომბერს კი საზეიმოდ გაიხსნება ერისთავის თეატრის დამსახურებული არტისტების დარეჯან ჭამაურისა და კახა ბერიძის ვარსკვლავები

მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს გორში ქალაქის სახალხო დღესასწაული „გორის დღე 2024“ აღინიშნა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მეგობარი ქალაქებიდან გორში სტუმრად მყოფ დელეგაციების (ოჟიში და ბიალისტოკი - პოლონეთი) წევრებთან ერთად დაათვალიერეს თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოფენილი პროდუქცია, ხელოვანების ნამუშევრები და სხვადასხვა ორგანიზაციების კუთხეები.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სახის კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული სანახაობები და აქტივობები.

სადღესასწაულო სივრცეში წარმოდგენილია საგანმანათლებლო დაწესებულებების კუთხეები, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციისა და ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვა, კვების ობიექტებისა და სოფლების კუთხეები, საბავშვო გასართობი სივრცეები, ტურისტული კუთხე - „ჯიპ - ტური“ და გაიმართა კონცერტები.

„გორის დღე 2024 “- გალა-კონცერტით დაასრულდა. კონცერტში, მონაწილეობდნენ „ნართები“ და ჯგუფი „ურსა“.

მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს ხელისუფლების წარმომადგენლები გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ვეტერანებს შეხვდნენ და ,,ვეტერანების დღე'' მიულოცეს.
შეხვედრის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს დიდების მუზეუმთან არსებული სამშობლოსთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.
გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტირებული ვეტერანები (შშმ პირები) წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახმარების სახით 1000 ლარს იღებენ.
გარდა ამისა, მერიამ დააფინანსა მათი სარეაბილიტაციო კურსიც საზღვაო კურორტზე. ვეტერანებს შეუძლიათ ასევე, სოციალური პროგრამის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობა.
ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ინიციატივით 17 ოქტომბერს „ვეტერანების დღე“ 2014 წელს დაარსდა. 1995 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“.

მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით სოფელ მეჯვრისხევში ანსამბლ "ნართები" -ს კონცერტი გაიმართა.

გორის საესტრადო სტუდია ,,დილა''-ს მოსწავლეები ქეთევან ქუმსიაშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობდნენ სხვადასხვა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალებში სადაც საპრიზო ადგილები მოიპოვეს. მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების მიერ მოხდა პედაგოგის ქეთევან ქუმსიაშვილის და ამ ნიჭიერი ახალგაზრდების დაჯილდოვება, რომლებსაც გადაეცათ მადლობის სიგელები.
გორის მუნიციპალიტეტის მერია წარმატებულ ახალგაზრდებს მაქსიმალურად მხარს უჭერს და ხელს უწყობს საკუთარი ნიჭის რეალიზებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, სთავაზობს კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამას, რომელიც კულტურულ სფეროში მოღვაწე ხელოვანების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ,,კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების საზღვარგარეთ მგზავრობის ხარჯები.

სამომავლო ღონისძიებები

27 ოქტომბერი - იაკობობა

31 დეკემბერს საახალწლო ღონისძიება

კულტურის განყოფილების პროექტები

2024 წელი

#	პროექტი/ თემა	განმცხადებელი ორგანიზაცია/პირი	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	ორგანიზაციის ფინანსური წილი	მერიის ფინანსური წილი	ბენეფიციარი	პროექტის ხანგრძლივობა	საიდენ. კოდი

1	„შშმ პირთა გადამზადებ ატიხრულ მინანქარში“	ა(ა)იპ კეთილდღეობისადა განვითარების ცენტრის დირექტორი თინა ბრეგვაძე	12 840 ლარი	2040 ლარი	ხელშ.№ 1/ 10იანვარი, 10800ლარი	10	იანვარი-დეკემბერი	ს/კ 218016420
2	„შშმ ახალგაზრდეგში მოტორიკის უნარების განვითარება თიხის დამუშავებით.“	ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის დირექტორი თინა ბრეგვაძე	14640 ლარი	2640 ლარი	ხელშ. №2/ 10 იანვარი 12000 ლარი	50	იანვარი-დეკემბერი	ს/კ 218016420
3	,,კერამიკის შემსწავლელი კლასი“	ფ/პ გიორგი ტატულაშვილი	1056 ლ	960 ლარი	ხელშ. №3/ 10 იანვარი 9 600 ლარი	8	იანვარი-დეკემბერი	პ/ნ 59001035169
4	ქორეოგრაფიული სამოსელი გოგონებისთვის“	წმ.ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სკოლა	25245 ლარი	1595 ლარი	ხელშ.№ 4/ 2 თებერვალი 23650 ლარი		თებერვლი-დეკემბერი	ს/კ 218082526

5	,,ART HAUSE-2024“	ა(ა)იპ ,,გორელ ფოტოგრაფთა კლუბი“ ოთარ გვრიტიშვილი	54600 ლარი	11900 ლარი	ხელშ.№ 5 5 თებერვალი 42700 ლარი		თებერვლი-დეკემბერი	ს/კ 417887228
6	,,ისტორია წიგნებით“	ა(ა)იპ ,,გორელ ფოტოგრაფთა კლუბი“ ოთო გვრიტიშვილი	34 100 ლარი	6300 ლარი	ხელშ.№ 6 20 მარტი 27 800 ლარი		აპრილი-ივნისი	ს/კ 417887228
7	ლიტერატურული კონკურსი ,,მაჩაბელი“	სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	32 872 ლარი	2 000 ლარი/ დონორი ორგ.- 26600 ლარი	ხელშ.№ 9/ 4 აპრილი 6 272 ლარი		მარტი ივლისი	ს/კ 218076542
8	,,GORI MURAL FEST”	ა(ა)იპ ,,გორელ ფოტოგრაფთა კლუბი“ ოთო გვრიტიშვილი	67000	7000 ლარი	ხელშ N8 60000 ლარი		აპრილი	ს/კ 417887228
9	,,ხელოვნება საზღვრებს გარეშე“	ა(ა) იპ ,,ჭკვიანი მომავალი“	72 320 ლარი	9 120 ლარი	ხელშ.№ 10/ 29 მაისი 64 200 ლარი		ივნისი ივლისი აგვისტო	ს/კ 418468152
10	,,გაზაფხულის ფესტივალი“	ა(ა)იპ ,,არეა 2024“	25 600 ლარი	3 000 ლარი	ხელშ.№ 11/ 31 მაისი 22 600 ლარი (ჩაირიცხა 19		1 ივნისი	ს/კ 416382426

					200 ლარი)			
11	ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ,,მაჩაბელი“	სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	44 175 ლარი	10 075 ლარი/ დონორი ორგ. 29 500 ლარი	ხელშ.№ 12/ 31 მაისი 4 600 ლარი		ივნისი ივლისი	ს/კ 218076542
12	,,აღმოაჩინე არაგვის ხეობა“	ა(ა)იპ ასოციაცია ტონთიო-მდგრადი გარემო და ტურიზმი	9 020 ლარი	2 320 ლარი	ხელშ.№ 13/ 7 ივნისი 6 700 ლარი	50	ივნისი	ს/კ 217891716
13	,,ხალხური რეწვა და სუვენირების დამზადება“	ი/მ მარინე ბეგლარიშვილი	4 670 ლარი	1 670 ლარი	ხელშ.№ 14/ 14 ივნისი 3 000 ლარი	20	ივნისი ივლისი აგვისტო	პ/ნ 59001095521
14	,,Sonic Cultures”	სსიპ გორის ქალთა კამერული გუნდი ხელმძღვანელი თეონა ცირამუა	6 600 ლარი	600 ლარი	ხელშ.№ 15/ 28 ივნისი 6 000 ლარი (ჩარიცხ. თანხა 5 500 ლარი)		3 ივლისი	ს/კ 218062646
15	,,სამშობლო განა მარტო ლურჯი მთებია,,	ა(ა) იპ ასოციაცია ტონთიო-მდგრადი განვითარება ტურიზმი	11200 ლარი	2900 ლარი	ხელშ №17 27 აგვისტო 8300 ლარი	40	7-12 სექტემბერი	ს/კ 217891716

16	,,გორის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ,,როტონდა“	სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	111 550 ლარი	9600 ლარი	ხელშ №186 სექტემბერი (101950) ლარი		5-12 ოქტომბერი	ს/კ 217881424
17	,,ძველი სერენადა	ჯაზ ბენდი ,,კანოდუსი”	2400 ლარი	1100 ლარი	ხელშ N16	400	3 ოქტომბერი	პ/ნ 59001053460

სპორტის განყოფილება

2024 წლის შესრულებული სამუშაო

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტუტული ერთეულის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტის განყოფილება მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს:

- სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;
- სპორტული მუნიციპალური პროგრამების განხორციელება კოორდინაციას;
- მუნიციპალური სტადიონების, სპორტული მოედნების, სპორტული კომპლექსების, ფუნქციონირების ხელშეწყობას;
- სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელებას;
- შემოსული კორესპონდენციის და დოკუმენტაციის ელექტრონულ საქმისწარმოებას.
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას;

გორის მუნიციპალიტეტის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამისა და გორის მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების პროგრამის ფარგლებში, წლის განმავლობაში ფინანანსდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციები, ასევე, წარმატებული და პერსპექტიული სპორტსმენები.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტუტული ერთეულის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტის განყოფილების მიერ 2024 წლის შესრულებული/დაფინანსებული პროექტები:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის

განათლების კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

2024 წელი

სპორტი

#	პროექტი/თემა	განმცხადებელი ორგანიზაცია/პირი	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	ორგანიზაციის ფინანსური წილი	მერიის ფინანსური წილი	ბენეფიციარი	პროექტის ხანგრძლივობა
1	„რაგბის განვითარების პროგრამა“	შპს „გორის ჯიქი“	480 000 ლარი	30 000 ლარი	450 000 ლარი	130	28.12.2023 - 31.07.2023
2	კალათბურთის განვითარების პროგრამა	ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი „ივერიონი-გორი“	1 174 330,83 ლარი	474 330,83 ლარი	700 000 ლარი	150	05.01.2024 - 31.12.2024
3	საჭიდაო კლუბი „ჩემპიონი“ განვითარების პროგრამა	ა(ა(იპ კლუბი ჩემპიონი ლარი	44 080 ლარი	4 080 ლარი	40 000 ლარი	90	11.01.2024 - 31.12.2024
4	„ბოჩა - ჩვენთვის აქტიური სპორტი“	ა(ა)იპ „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“	10 300 ლარი	1 300 ლარი	9 000 ლარი	30	15.01.2024 - 31.12.2024
5	სპორტის სასახლის დარბაზის ქირავნობისთვის.	ა(ა)იპ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია.	19 800 ლარი	0 ლარი	19 800 ლარი	25	15.01.2024 - 31.12.2024

6	არჩილ მამულაშვილი უმაღლეს სასწავლებელში გადასახადის დაფინანსება	არჩილ მამულაშვილი	500 ლარი	0 ლარი	500 ლარი	1	02.02.2024 მოხსენებითი ბარათი
7	ფრენბურთის განვითარება.	ა(ა)იპ „ქალთა და მამაკაცთა ფრენბურთის კლუბი გორი“	48 640 ლარი	24 320 ლარი	24 320 ლარი	20	01.02.2024 - 31.12.2024
8	„პროექტი აქტიური ცხოვრება ჩვენი სტიქიაა“ შშმ პირთათვის სხვადასხვა სპორტული ღონისძიებისთვის	ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდული მედიაკავშირი“	17 350 ლარი	2 900 ლარი	14 450 ლარი	20	06.02.2024 - 31.12.2024
9	პირველი რეგიონული კალათბურთის განვითარების კონფერენციის ჩასატარებლად.	ა(ა)იპ „საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია“	2 500 ლარი	1 000 ლარი	1 500 ლარი	15	09.02.2024 - 30.05.2024
10	საქართველოს ფარგლებს გარეთ პერსპექტიული სპორტსმენების მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღებაში ხელშეწყობა.	ა(ა)იპ „საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია“	1680	0	1680	4	12,02,2024 - 30,03,2024

11	„გორის გლობალური ტური ლაზერულ რბენაში“ პროექტის განსახორციელებლად.	ა(ა)იპ შიდა ქართლის თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ფედერაცია.	3704,73	653,73	3051	200	05.04.2024 - 31.12.2024
12	პროექტი „სპორტი საქართველოსთვის“.	ა(ა)იპ ქართული გენია ჰოლდინგი.	33 850	29 950	3 900	1000	13.06.2024 - 31.12.2024
13	პროექტი „ახალგაზრდა მებრძოლები“	საქართველოს შერეული საბრძოლო ხელოვნებების ეროვნული ფედერაცია ჩემპიონი	15 000	10 000	5 000	500	06.08.2024 31.11.2024
14	საცხენოსნო დღე	ა(ა)იპ შშმ პირთა სარეაბილიტაციო სპორტულ გამაჯანსაღებელი საცხენოსნო კლუბი კენტავრი	2 500	200	2 300	50	13.08.2024 31.11.2024
15	მუნიციპალური პირველობა მინი ფეხბურთში	გორის მუნიციპალიტეტის მერია	6000	0	6000	500	
16	მუნიციპალურიპირველობა 3X3 კალათბურთში	გორის მუნიციპალიტეტის მერია	3000	0	3000	300	
	თავისუფლების თამაშების ფარგლებში, მუნიციპალური გარბენი	გორის მუნიციპალიტეტის მერია				5 00	
17	ბვშვების ხელშეწყობა საერთაშორისო ტურნირში მ ონაწილეობის მიზნით	ა(ა)იპ გორი ლლა	8300	5550	2750	15	03.10.2024 31.12.2024

18	სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ორგანიზება				4 060	1 500	
19	შიდა ქართლის სპორტული თამაშების ფარგლებში, მარათონულ გარბენში რეგიონალური პირველობის ორგანიზებაში მონაწილეობა.					6 00	
20	შიდა ქართლის სპორტული თამაშების ფარგლებში, ფეხბურთში რეგიონალური პირველობის ორგანიზებაში მონაწილეობა.					80	
21	შიდა ქართლის სპორტული თამაშების ფარგლებში, კალათბურთში 3X3 რეგიონალური პირველობის ორგანიზებაში მონაწილეობა.					40	

	პროექტის დასახელება	განმცხადებელი ორგანიზაცია/პირი	მუნიციპალალიტეტის ხარჯი	ორგანიზაციის ხარჯი	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	ბენეფიციარი	ხელშეკრულების ვადა	საიდ. ნომერი
1	წახალისება	თამარ მეზვრიშვილი	1000		1000 ლ			
2	„ბოგონების გაძლიერება“	ა(ა)იპ „ საქართველოს ფერმერთა ასოციაცია“	2900	2 325 ლ	5 225 ლ	70	ხელშ.№ახალ 001/29.01.2024-31.12.2024	404432468
3	„რობოტექნიკა ყველასთვის“	ა(ა)იპ „პასკალი 2012“	10000	1 600 ლ	11 600 ლ	30	ხელშ.№ახალ 002/07.02.2024-31.12.2024	405672384
4	„ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“	ა(ა)იპ „ასოციაცია ჰერა 21“	5898	7 200 ლ	13 098 ლ	24	ხელშ.№ახალ 003/07.02.2024-31.12.2024	204898780
5	„კიბერ ფესტივალი“	ა(ა)იპ „ჰორიზონტი შიდა ქართლის ახალგაზრული იდეა“	1658	500 ლ	2 158 ლ	48	ხელშ.№ახალ 004	418482387
6	„თემის მედეგობის ბილიკები 2“	ა(ა)იპ „ქალი და განვითარება“	8000	10 770 ლ (დონორი ორგ)	18 770 ლ	30	ხელშ.№ახალ 005/14.03.2024	218037595
7	„ციფრული აკადემია“	ა(ა)იპ „ფიზოლერნი“	10000	3 590 ლ	13 590 ლ	20	ხელშ. №ახალ 006/20.03.2024	418482877
8	წახალისება	ანი აკოფაშვილი	1355.21		1 355, 21 ლ			
9	ახალგაზრდული კაფე „სფეისი“	ა(ა)იპ “ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება“	34975	12 740	47715 ლ		ხელშ. №ახალ 007/22.03.2024	400144893
10	„გაზაფხულის ლიდერთა ბანაკი“	ა(ა)იპ “ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება“	35250	1 125 ლ 2 400 ლ (დონორი ორგ)	38 775 ლ	80	ხელშ. №ახალ 008/05.04.2024	400144893
11	„დებატების ჩემპიონატი 2024“	ა(ა)იპ „ბორის ახალგაზრდული ცენტრი	შეწყდა ხელშეკრულება	შეწყდა ხელშეკრულება	შეწყდა ხელშეკრულება	შეწყდა ხელშეკრულება	ხელშ. № ახალ 010/12.04.2024; შეთანხმების აქტი ახალ 002/02.05.2024	417899625
12	წახალისება	ანა თვაური	1774.5		1 774.50 ლ		ხელშ. №ახალ 011/12.04.2024	
13	„ფეინთბოლის ჩემპიონატი“	ა(ა)იპ „საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაცია“	5000	5 20 ლ	5 520 ლ	50	ხელშ. №ახალ 009/12.04.2024	406196101
14	პროექტ "AiTalent-ის" ფარგლებში კასპის ტექნო პარკში ახალგაზრდების ტრანსპორტირება	მძღოლი - ნუკრი მამუჩარაშვილი	1151.02		1151.02	19	ხელშ. №49/2024	
15	"ახალგაზრდა მეწარმეები მომავალისათვის"	ა(ა)იპ "ჭკვიანი მომავალი"	25 700	3 450 ლ	29 150 ლ	45	ხელშ. № ახალ 012/15.05.2024	418468152
16	"საზაფხულო ტურისტულ გამაჯანსაღებელი ბანაკი"	ა(ა)იპ ასოციაცია "ტონთიო - მდგრადი გარემო და ტურიზმი"	68 849.19	24 250 ლ	104 250	420	ხელშ. №ახალ 013/18.06.2024	217891716
17	„ახალგაზრდული მედიათეკა ოქონა“	ა(ა)იპ „სტუდია ოქონა“	8 000	1 800 ლ	9 800	15	ხელშ. №ახალ 014/19.06.2024	417901952
18	"ციფრული ინტელექტი 2024"	ა(ა)იპ "ქართული გენია ჰოლდინგი"	15 000	15 00 (დონორი ორგ.)	30 000	300	ხელშ. №ახალ 015/24.06.2024	418483359
19	წახალისება	თათია აბალაკი	1550		1550			
20	წახალისება	ანი მირზაშვილი	911		911	შეჩერებული		